

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №52/6

2010 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები (დანართი №1).

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან (შემდგომ ტექსტსა და დანართში – სააღმზრდელო დაწესებულება) მყოფი ბენეფიციარების შეფასება 2017 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 11 მაისის ბრძანება №01-22/6 - ვებგვერდი, 11.05.2012წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №01-41/6 - ვებგვერდი, 21.06.2012წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/6 - ვებგვერდი, 19.04.2016წ.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ბენეფიციარების საბუთების (პირადი საქმეების) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესთან და პირობებთან“ შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №340/6-სსმ III, №134, 19.09.2010წ; მუხ.1932

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/6 - ვებგვერდი, 19.04.2016წ.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. კვიტაშვილი

დანართი №1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის ბრძანება №01-26/6 - ვებგვერდი, 29.04.2014წ.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესსა და პირობებს, ამ მომსახურების მიმღებ პირებს, კომპეტენტური ორგანოების უფლება-მოვალეობებს, ურთიერთობებს, რომელიც დაკავშირებულია პირის სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურებით სარგებლობასთან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/6 - ვებგვერდი, 19.04.2016წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება



1. სამინისტრო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
2. სააგენტო - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო.
3. კომპეტენტური ორგანო - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში დაფინანსებას (თანადაფინანსებას) ან სააგენტო.
4. რეგიონული საბჭო - სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება კანონმდებლობით.
5. მომსახურების მიმწოდებელი - სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სპეციალიზებული დაწესებულებები.
- 5¹. სპეციალიზებული დაწესებულება - სააღმზრდელო დაწესებულება (მ.შ. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი), სათემო ორგანიზაცია, დღის ცენტრი და დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, აგრეთვე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ფილიალები - ხანდაზმულთა პანსიონატი, შშმ პირთა პანსიონატი და ბავშვთა სახლი).
- 5². სააღმზრდელო დაწესებულება - სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულება.
6. ობოლი ბავშვი - 18 წლამდე ასაკის პირი, რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მშობელი.
7. მზრუნველობამოკლებული ბავშვი - 18 წლამდე ასაკის პირი:
 - ა) რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ან მხარდაჭერის მიმღები პირია და სასამართლოს მიერ მშობლის უფლებების ნაწილში მხარდამჭერად დანიშნულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი;
 - ბ) რომელიც არის ობოლი ბავშვი;
 - გ) რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან შეეზღუდა (შეეზღუდათ) მშობლის უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - დ) რომელიც აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად;
 - ე) მისი დატოვება მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ბავშვისთვის საზიანოა.
8. ნაპოვნი ბავშვი - 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე.
9. მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკის მიერ, მაძიებლის ანკეტის საფუძველზე.
10. ხანდაზმული - მამაკაცი 65 წლის ასაკიდან და ქალი 60 წლის ასაკიდან.
11. დაინტერესებული მხარე (განმცხადებელი):
 - ა) სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების მსურველი;
 - ბ) სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის კანონიერი წარმომადგენელი;
 - გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თუ სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების მსურველს არ შეუძლია განაცხადის დამოუკიდებლად წარდგენა;
 - დ) სასამართლო;
 - ე) სააგენტო;
- გ) [\(ამოღებულია - 18.04.2016, №01-16/5\)](#).
12. ბენეფიციარი - სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების მიმღები პირი.
13. მაძიებელი - სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირი.
14. კანონიერი წარმომადგენელი - არასრულწლოვანი მაძიებლის ან ბენეფიციარის შემთხვევაში - მშობელი, მეურვე, მზრუნველი; მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობილი მაძიებლის ან ბენეფიციარის შემთხვევაში - მხარდამჭერი; შეზღუდულ ქმედუნარიანი მაძიებლის ან ბენეფიციარის შემთხვევაში - მზრუნველი, ქმედუნარიანი მაძიებლის ან



ბენეფიციარის შემთხვევაში – მისი მხრიდან სათანადო უფლებამოსილებით (რწმუნებულება) აღჭურვილი პირი.

15. ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრი – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოთავსების სურვილის მქონე პირთა ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზა, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს სააგენტოს დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

16. დღის ცენტრებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრი – დღის ცენტრებში მოთავსების სურვილის მქონე პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს სააგენტოს დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

17. მაძიებლის ანკეტა - ანკეტა, რომლის საფუძველზე ხორციელდება მიუსაფარი ბავშვის ასეთად იდენტიფიცირება და ავსებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკი. მაძიებლის ანკეტის ფორმა მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება №01-22/ნ- ვებგვერდი, 21.07.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/ნ - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)

მუხლი 3. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ მიმართვა და სამიზნე ჯგუფი

1. დაინტერესებულმა მხარემ (განმცხადებელმა) სააღმზრდელო დაწესებულებაში და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სააგენტოა დაინტერესებული მხარე (განმცხადებელი), პირის მოთავსების შესახებ წერილობით უნდა მიმართოს სააგენტოს, შევსებულ იქნეს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განაცხადი არაფულადი მომსახურების თაობაზე და დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები.

2. ხანდაზმულთა პანსიონატში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული, ასევე შშმ პირი 60 წლის ასაკიდან, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა, ხოლო სათემო ორგანიზაციაში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული (მათ შორის, შშმ პირი, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა), რომლის დაწესებულებაში მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;

გ) მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;

დ) მაძიებლ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

3. შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსებას ექვემდებარება შშმ სრულწლოვანი პირი (მათ შორის, სპეციალიზებულ შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირი), ასევე, ამ პირთა 18 წლამდე ასაკის შვილები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს. დაწესებულებაში მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;

გ) მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;

დ) მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

4. დღის ცენტრში მოთავსებას ექვემდებარება 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები ან სრულწლოვანი შშმ პირები. აღნიშნული პირების (გარდა მიუსაფარი ბავშვისა) დაწესებულებაში მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;

გ) მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) - იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელი განცხადების წარდგენის დღემდე 12 თვის განმავლობაში არ იყო ამ მომსახურების ბენეფიციარი, მიუხედავად მომსახურების მიღების ხანგრძლივობისა;

ე) მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მომსახურების



მიმწოდებლად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურების მისაღებად დამატებით სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის – ფორმა №IV-50/2 ასლი.

5. დღის ცენტრში ან მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მოთავსებას ექვემდებარება მიუსაფარი ბავშვი, რომლის დაწესებულებაში მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მამიებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბ) მამიებლის ანკეტა.

6. დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოთავსებას ექვემდებარება სხვადასხვა პრობლემების მქონე დედა, ასევე სხვადასხვა პრობლემების მქონე ქალი, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფება არასრულწლოვან შვილ(ებ)თან ერთად, თუკი ერთ-ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის და ეს უკანასკნელ(ნი) მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან. აღნიშნული პირ(ებ)ის მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მამიებლ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, ან დაბადების მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – თუ პირ(ებ)ი არასრულწლოვანია;
- ბ) მამიებლ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. სააღმზრდელო დაწესებულებაში მოთავსებას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბუთის დედანი უზრუნდება მფლობელს წარმოდგენისთანავე.

9. ნაპოვნი ბავშვის და სხვა გადაუდებელ შემთხვევაში, სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა დღის ცენტრისა) პირი განთავსდება სხვა აღსაზრდელებისაგან/ბენეფიციარებისგან განცალკევებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იდენტიფიცირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის საშიში არ არის სხვა პირებისათვის). სპეციალიზებული დაწესებულების მიერ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ იგი განთავსდება სხვა აღსაზრდელებთან/ბენეფიციარებთან ერთად (გარდა ამ წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული დაავადებების შემთხვევაში, როდესაც სპეციალიზებული დაწესებულების მიერ ხორციელდება ასეთი პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა).

10. გადაუდებელი წესით, სააღმზრდელო დაწესებულებებში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში, ასევე სათემო ორგანიზაციებში შეიძლება მოთავსდნენ პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე თავშესაფრის გარეშე აღმოჩენილი ის პირები, რომელთა სიცოცხლე სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაუდებელი განთავსების გარეშე საფრთხეშია, ხოლო დედათა და ბავშვთა თავშესაფარში პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის ბრძანება №01-52/ნ - ვებგვერდი, 18.07.2014წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება №01-22/ნ- ვებგვერდი, 21.07.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/ნ - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)

მუხლი 4. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. მამიებლის სააღმზრდელო დაწესებულებაში (დაფინანსების წყაროს მიუხედავად, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სააღმზრდელო დაწესებულებაში), აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა ნაპოვნი ბავშვისა, სხვა გადაუდებელი შემთხვევისა და დღის ცენტრში მოთავსების მამიებელი შშმ პირისა (მათ შორის შშმ ბავშვისა) და მიუსაფარი ბავშვის) განთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო.

2. რეგიონული საბჭოს/რეგიონული საბჭოს თამჯდომარის გადაწყვეტილებით ამ წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირებიდან დედა შვილთან (შვილებთან), თუ ერთი შვილი 1 წლამდე ასაკისაა, და/ან ორსული ქალი დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოთავსდებიან არაუმეტეს 12 თვის ვადით, ხოლო ამ წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სხვა პირები – არაუმეტეს 8 თვის ვადით.

3. დღის ცენტრში და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მიუსაფარი ბავშვის განთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკი, მის მიერ შევსებული/ხელმოწერით დადასტურებული მამიებლის ანკეტის საფუძველზე. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მიუსაფარი ბავშვი თავსდება არაუმეტეს 18 თვის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ აღნიშნული მომსახურების ვადის 6 თვით გაგრძელებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკი რეგიონული საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად. უფროსი სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს სააგენტო. უფროსი სოციალური მუშაკისათვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ნაპოვნი ბავშვის და სხვა გადაუდებელ შემთხვევაში, სააღმზრდელო დაწესებულებაში და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში განთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო/რეგიონული საბჭოს თამჯდომარე (გარდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა).

5. სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში გადაუდებელი წესით პირის განთავსებაზე, სოციალური მუშაკის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით, გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო/რეგიონული საბჭოს თამჯდომარე.

6. მამიებლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა სააღმზრდელო დაწესებულებისა) განთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული პირი.



7. სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა ნაპოვნი ბავშვისა და სხვა გადაუდებელი შემთხვევისა, მიუსაფარ ბავშვთა და შშმ ბავშვთა დღის ცენტრში და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მიუსაფარი ბავშვის მოთავსებისა) პირის მოსათავსებლად სოციალური მუშაკი ახორციელებს დოკუმენტაციის შესწავლას/დედნთან შესაბამისობის შემოწმებას, მამიებლის შეფასებას და მომსახურებაში მოთავსების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნას აწვდის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. ამასთან, თუ გამოვლინდა ბავშვის მიტოვების რისკი ან ძალადობის რაიმე ფორმის ნიშნები, სოციალური მუშაკი ახდენს შესაბამის რეაგირებას და განსახილველად გადასცემს სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამის რეგიონულ საბჭოს (შემდგომში – რეგიონული საბჭო).
8. მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვთა დღის ცენტრში მოთავსების საკითხი რეგიონული საბჭოს მიერ განიხილება დღის ცენტრებში მოსათავსებელი მამიებლების რეესტრის რეგისტრაციის მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით: რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები, ბენეფიციარები, რომლებიც ამ მომსახურებით სარგებლობდნენ წინა 12 თვის განმავლობაში (მიუხედავად მომსახურებით სარგებლობის ვადისა), „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა ყველაზე უფრო დაბალია არაფულადი მომსახურების თაობაზე განაცხადის წარდგენის დღისთვის, შშმ ბავშვთა და პირთა (მათ შორის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქვევის მნიშვნელოვანი აშლილობით სხვა გონებრივი ჩამორჩენის მქონე შშმ ბავშვთა) დღის ცენტრში მოთავსების საკითხი განიხილება/გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსის მიერ მამიებლების რეესტრის რეგისტრაციის მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით – რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები, ბენეფიციარები, რომლებიც ამ მომსახურებით სარგებლობდნენ წინა 12 თვის განმავლობაში (მიუხედავად მომსახურებით სარგებლობის ვადისა), „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა ყველაზე უფრო დაბალია არაფულადი მომსახურების თაობაზე განაცხადის წარდგენის დღისთვის.
9. პირის ხანდაზმულთა ან შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსების საკითხი რეგიონული საბჭოს მიერ განიხილება ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მამიებლების რეესტრის რეგისტრაციის მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით: სხვა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებიდან გადასყვანილი ბენეფიციარები, სკოლა-პანსიონის 18 წელს მიღწეული აღსაზრდელები და ამ წესის შესაბამისად გადაუდებელი წესით განსათავსებელი პირები, სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე იდენტიფიცირებული მუდმივი მოვლის/მეთვალყურეობის საჭიროების მქონე შშმ პირები, პირები, რომელთაც არ ჰყავთ მკვეთრი და მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე ან ხანდაზმული შვილ(ებ)ი და/ან მეუღლე, მინდობით აღზრდიდან გასული პირები სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის ერთი წლის განმავლობაში, ასევე ის პირები, რომლებსაც უფრო ადრე აქვთ სააგენტოში წარდგენილი განაცხადი არაფულადი მომსახურების თაობაზე, მამიებლის მიერ განაცხადში უნდა მიეთითოს სასურველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულ(ებ)ი. ამასთან, მამიებელი, ხანდაზმულთა ან შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსების შესახებ სააგენტოს მიერ წერილობით შეთავაზებაზე შეთავაზებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში თანხმობის ხელმოწერით დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ამოღებულ იქნება რეესტრიდან და მისი ხელახლა ჩართვა მოხდება ყველა აუცილებელი პროცედურის გავლის შემდეგ (გარდა საპატიო შემთხვევისა, როცა მამიებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იმყოფება სტაციონარულ დაწესებულებაში). ამ წესის შესაბამისად, გადაუდებელი წესით განსათავსებელი პირები სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსდებიან არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შერჩევის გარეშე.
10. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ დაწესებულებაში ბენეფიციარის სრული სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით/დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე წერილობით ეცნობება დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო არის დაინტერესებული მხარე.
12. სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებას არ ექვემდებარებიან მამიებლები (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულისა, როდესაც წინასწარ არ არის იდენტიფიცირებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა):

ა) მწვავე ინფექციური დაავადებით;

ბ) ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;

გ) აქტიური სიფილისით;

დ) კანის გადამდები დაავადებით;

ე) თავისა და ზურგის ტვინის თიაქრების ღია ფორმით;

ვ) ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე დაავადებით.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/6 - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/6 - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)

მუხლი 5. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებაზე უარის თქმის საფუძველი

დაინტერესებულ მხარეს პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ მოსათავსებელი პირის მონაცემები ვერ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ პირობებს.

მუხლი 6. სპეციალიზებულ დაწესებულებაში ბენეფიციარის მოთავსება

1. სააღმზრდელო დაწესებულებაში (გარდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრისა), აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის განთავსების შემთხვევაში (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულისა), მომსახურების მიმწოდებლის/სააღმზრდელო დაწესებულების პასუხისმგებელი პირის აღნიშნულ დაწესებულებაში ბენეფიციარის განთავსებაზე რეგიონული საბჭოს

გადაწყვეტილებასთან (ოქმიდან ამონაწერი) ერთად გადაეცემა შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის) ასლი, ან დაბადების მოწმობის ასლი – თუ პირი არასრულწლოვანია;
- ბ) ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) ასლი;
- გ) ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) სოციალური მუშაკის მიერ შევსებული ბავშვის შეფასების ფორმის ასლი და შეფასების საფუძველზე გაკეთებული სოციალური მუშაკის დასკვნის ასლი (პირის სააღმზრდელო დაწესებულებასა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში განთავსების შემთხვევაში);
- ე) ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ასლი.

2. დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მომსახურების მისაღებად იდება ხელშეკრულება მომსახურების მიმწოდებელსა და სრულწლოვან ბენეფიციარს შორის (გარდა სასამართლოს მიერ ამ ნაწილში მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული პირისა).

3. ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატში მომსახურების მიღების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს ფონდი სამინისტროსთან შეთანხმებით. სათემო ორგანიზაციასა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მომსახურების მიღების შესახებ ხელშეკრულების ფორმა მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ თანხმდება სამინისტროსთან.

4. ნაპოვნი ბავშვის და სხვა გადაუდებელ შემთხვევაში, ბავშვის სააღმზრდელო დაწესებულებაში (გარდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარისა), აგრეთვე პირის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში – დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში განთავსებისას, რეგიონული საბჭოს/რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების ასლი (ოქმიდან ამონაწერი) მომსახურების მიმწოდებლის/სააღმზრდელო დაწესებულების პასუხისმგებელ პირს გადაეცემა აღნიშნულ დაწესებულებაში პირის მოთავსებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები მომსახურების მიმწოდებლის/სააღმზრდელო დაწესებულების პასუხისმგებელ პირს გადაეცემა აღნიშნულ დაწესებულებაში პირის მოთავსებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, ხოლო ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში გადაუდებელი წესით განთავსების შემთხვევაში – შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებისთანავე.

5. დღის ცენტრში და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მიუსაფარი ბავშვის მოთავსების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებელ პირს აღნიშნულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისთანავე გადაეცემა შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბ) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკის მიერ შევსებული/ხელმოწერით დადასტურებული მამიებლის ანკეტა და გადაწყვეტილება.

6. ბენეფიციარის სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებასთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერი კეთდება პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი N3) და ხელმოწერას აკეთებს მიმყვანი პირი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბენეფიციარი.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანება №01-13/ნ - ვებგვერდი, 19.05.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება №01-22/ნ- ვებგვერდი, 21.07.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/ნ - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)

მუხლი 6¹. სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებული ბენეფიციარის მონახულება

სააღმზრდელო დაწესებულების ბენეფიციარის ნახვის უფლება შეიძლება მიეცეს ბენეფიციარის ნათესავს ან სხვა პირს, რომლის მონაცემები (სახელი, გვარი, ბენეფიციართან კავშირი და პირადი ნომერი) განისაზღვრება რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებაში.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება №01-22/ნ- ვებგვერდი, 21.07.2015წ.](#)

მუხლი 7. სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბენეფიციარის დროებით გაყვანა

1. სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბენეფიციარის დროებითი გაყვანა შესაძლებელია:



ა) იმ პირის მიერ, რომლის მონაცემები (სახელი, გვარი, ბენეფიციართან კავშირი და პირადი ნომერი) განსაზღვრულია ასეთ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებაში:

ა.ა) სასწავლო არდადეგების დღეებში (მხოლოდ სააღმზრდელო დაწესებულებიდან ბავშვის დროებით გაყვანის შემთხვევაში), უქმე დღეებში ან/და შაბათ-კვირას;

ა.ბ) სხვა დღეებში – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წერილობითი თანხმობით, რომელიც გაიცემა დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე.

ბ) მომსახურების მიმწოდებლის/სააღმზრდელო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ:

ბ.ა) დასვენების, კულტურულ-სპორტულ, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით;

ბ.ბ) სტაციონარში ან სხვა ტიპის სამედიცინო – სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში.

გ) ქმედუნარიანი ბენეფიციარის სურვილის შესაბამისად:

გ.ა) უქმე დღეებში ან/და შაბათ-კვირას;

გ.ბ) წელიწადში ზედიზედ არა უმეტეს 10 დღისა, ხოლო წლის განმავლობაში დროებით გაყვანის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს. მოცემული ვადების ამოწურვის შემთხვევაში, დამატებით დღეებზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წერილობითი თანხმობით, რომელიც გაიცემა დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების მიმწოდებელს/სააღმზრდელო დაწესებულებას, რომლის დარღვევის თაობაზე დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს.

3. ბენეფიციარის სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან დროებით გაყვანასთან და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერი კეთდება პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №3) და ხელმოწერას აკეთებს გამყვანი პირი ან ბენეფიციარი, თუ ეს უკანასკნელი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირია და სპეციალიზებული დაწესებულების უფლებამოსილი პირი.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება №01-22/ნ- ვებგვერდი, 21.07.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

მუხლი 8. სპეციალიზებული დაწესებულებიდან პირის გაყვანა/ამორიცხვა

1. სააღმზრდელო დაწესებულებიდან პირი გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება:

- ა) თუ პირი დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახში;
- ბ) თუ პირი შვილად იქნა აყვანილი;
- გ) თუ პირს დაენიშნა მეურვე/მზრუნველი;
- დ) თუ პირი მიმღებ ოჯახს გადაეცა მინდობით აღსაზრდელად;
- ე) თუ პირი გადაყვანილ/ჩარიცხულ იქნა სხვა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში;
- ვ) სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სრულწლოვანების მიღწევისას პირი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, ასეთ შემთხვევაში სრულწლოვანებას მიღწეული პირის გაყვანა/ამორიცხვა განხორციელდება სრული ზოგადი განათლების მიღების დასრულების შემდეგ;
- ზ) თუ პირი გარდაიცვალა;
- თ) დაწესებულების თვითნებურად დატოვების შემთხვევაში, როცა:
 - თ.ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შეტყობინებიდან 6-კვირიანი ვადის გასვლისას, ვერ ხერხდება პირის ადგილსამყოფლის დადგენა;
 - თ.ბ) დადგინდება რომ არასრულწლოვანი სხვადასხვა მიზეზის გამო არ ბრუნდება დაწესებულებაში და სოციალური მუშაკის დასკვნა ადასტურებს რომ დაწესებულებაში არ დაბრუნება არასრულწლოვანისთვის ზიანის მომტანი არ არის.
- ი) თუ პირი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში;
- კ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლაში გადაყვანისას;
- ლ) მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის შემთხვევაში, რეგიონული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, თუ სოციალური



მუშაკი ადასტურებს, რომ პირი აღარ საჭიროებს ამ მომსახურებით სარგებლობას ან/და თუ სახეზეა ამავე პუნქტის „ა-ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები. ასევე, მომსახურების ვადის ამოწურვისთანავე, თუ სოციალური მუშაკი არ უწევს რეკომენდაციას მომსახურების ვადის გაგრძელებას.

2. დედათა და ბავშვთა თავშესაფრიდან ბენეფიციარი გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება:

- ა) დედის სურვილის შემთხვევაში;
- ბ) მის მიერ დროებითი გასვლის ვადის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
- გ) დედის ან/და ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში;
- დ) მოთავსების ვადის ამოწურვისთანავე;
- ე) დაწესებულების მიმართვის საფუძველზე, ბენეფიციარი შესაძლებელია ამორიცხოს ბენეფიციარსა და დაწესებულებას შორის მომსახურების მიღების შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ბენეფიციარის წერილობითი გაფრთხილების შემდგომ განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში;
- ვ) თუ დედა იმყოფება წინასწარ პატიმრობაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

3. სათემო ორგანიზაციიდან, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატიდან პირი გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება:

- ა) ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
- ბ) თუ მას დაენიშნა მეურვე/მზრუნველი;
- გ) თუ პირი გადაყვანილ იქნა სხვა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში;
- დ) ფონდის ან/და სათემო ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე, თუ ხანდაზმულთა პანსიონატში/შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მომსახურების მიღებისას ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არ იქნა გადახდილი მომსახურების თანადაფინანსების კუთვნილი წილი;
- ე) მომსახურების მიმწოდებლის მიმართვის საფუძველზე, ბენეფიციარსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის მომსახურების მიღების შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
- ვ) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

4. დღის ცენტრიდან პირი (გარდა მიუსაფარი ბავშვისა) გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება:

- ა) საკუთარი სურვილით, არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
- ბ) შშმ სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერებისას (შშმ ბენეფიციარის შემთხვევაში);
- გ) სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას (გარდა შშმ პირთა დღის ცენტრისა);
- დ) ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების დაფინანსებისთვის სააგენტოსათვის ვაუჩერის ზედიზედ 2 თვის ტალონის წარუდგენლობა, გარდა შესაბამისი დღის ცენტრის ფუნქციონირების დროებით შეჩერების (საზაფხულო არდადეგები ან/და რეაბილიტაციის მიზნით დახურვა) შემთხვევებისა. ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო;
- ე) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

5. დღის ცენტრიდან მიუსაფარი ბავშვი გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება:

- ა) სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას;
- ბ) ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
- გ) სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანისას;
- დ) სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს, რომ პირი აღარ საჭიროებს ამ მომსახურებით სარგებლობას;
- ე) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

6. ბენეფიციარის საადმინისტრაციო დაწესებულებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებიდან გაყვანასთან/ამორიცხვასთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერი კეთდება პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №3) და ხელმოწერას აკეთებს გამყვანი პირი ან ბენეფიციარი, თუ ეს უკანასკნელი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირია და სპეციალიზებული დაწესებულების უფლებამოსილი პირი.

7. ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ ინფორმაცია უნდა ეცნობოს სააგენტოს დაუყოვნებლივ.

8. საადმინისტრაციო დაწესებულებიდან, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბენეფიციარის (გარდა მიუსაფარი ბავშვისა) გაყვანის/ამორიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მიუსაფარი ბავშვი თავსდება არაუმეტეს 18 თვის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ აღნიშნული მომსახურების ვადის 6 თვით გაგრძელებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკი რეგიონული საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად. უფროსი სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს სააგენტო. უფროსი სოციალური მუშაკისათვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანება №01-13/ნ - ვებგვერდი, 19.05.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/ნ - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)



მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი

1. 2016 წლის 31 იანვრამდე ლიცენზირებულ საადმინისტრაციო დაწესებულებებში განთავსებული ბენეფიციარები, ჩაითვალოს ამ წესის შესაბამისად განთავსებულ ბენეფიციარებად, მათი შეფასების განხორციელებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2017 წლის 1 იანვრისა.
2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხულ ბენეფიციარებზე, დაწესებულებაში განთავსების ვადებთან დაკავშირებით, ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული პირობები.
3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე ტრანზიტულ ცენტრში და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში ჩარიცხული ბენეფიციარები 2016 წლის 1 აპრილიდან ჩაითვალოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში ამ წესის შესაბამისად ჩარიცხულ ბენეფიციარებად. ამასთან, დაწესებულებაში განთავსების ვადებთან დაკავშირებით ამ ბრძანებით განსაზღვრული პირობები 2016 წლის 1 აპრილიდან გავრცელდეს როგორც ბრძანების ამოქმედებამდე, ასევე მის შემდგომ ჩარიცხულ ბენეფიციარებზე.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანება №01-13/6 - ვებგვერდი, 19.05.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №01-61/6 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №01-16/6 - ვებგვერდი, 19.04.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-34/6 - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

დანართი №2

(ამოღებულია - 29.04.2014, №01-26/6)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის ბრძანება №01-26/6 - ვებგვერდი, 29.04.2014წ.](#)

დანართი №3

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის ბრძანება №01-26/6 - ვებგვერდი, 29.04.2014წ.](#)

პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა დღის ცენტრისა) მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანება №01-19/6 - ვებგვერდი, 20.04.2017წ.](#)

I ნაწილი. პირის მოთავსების და გაყვანის აღრიცხვა

№	ბენეფიციარის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	მოქმედება	გადაწყვეტილების			მიმყვანი/გამყვანი პირის					შენიშვნა	
			მიმღები	№	თარიღი	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	თანამდებობა ან ნათესაური კავშირი	თარიღი	ხელმოწერა		
		მოთავსება										
		გამოყვანა										
		მოთავსება										
		გამოყვანა										
		მოთავსება										
		გამოყვანა										

II ნაწილი. პირის დროებითი გაყვანის აღრიცხვა

№	ბენეფიციარის		დროებითი გაყვანის		დროებით გამყვანი/დამზრუნველი პირის			ბენეფიციარის თარიღი	ბენეფიციარის შემოყვანის თარიღი	ხელმოწერა	სპეციალიზებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის ხელმოწერა	შენიშვნა
	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საფუძველი	გაყვანის ვადა	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	უფლებამოსილი ან ნათესაური კავშირი ბენეფიციართან					



